მ ა რ ი ნ ე   ი ლ უ რ ი ძ ე

# XVIII საუკუნის 70-იანი წლების ამიერკავკასია ორი ოსმალური დოკუმენტის მიხედვით

XVI საუკუნიდან მოყოლებული საქართველო, ისევე, როგორც მთელი ამიერკავკასია, ოსმალეთისა და ირანის შორის გაუთავებელი დავის საგანი იყო. XVIII საუკუნეში მათ რიცხვს შეემატა რუსეთის იმპერია, რომელიც ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებას და შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას ცდილობდა, ეს კი, როგორც ოსმალეთის, ისე ირანის მიზნებს სრულიად არ შეესაბამებოდა, თუმცაღა თავად ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული უთანხმოება, რომელიც გამოწვეული იყო მთელ ამიერკავკასიაში ერთპიროვნული ბატონობის სურვილითა და სარწმუნოებრივი შუღლით, მათ შორის თანხმობის მიღწევას უმეტესად შეუძლებელს ხდიდა და ზოგ შემთხვევაში მუსულმანურ ირანს ქრისტიანული რუსეთის მოკავშირედ აქცევდა.

XVIII საუკუნეში დასუსტებული ოსმალეთი თანდათანობით კარგავდა პოზიციებს საქართველოში. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომმა იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია[1]. ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (1774 წ.) თანახმად რუსეთმა სცნო მისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ეს უფლებები ნომინალური იყო. მას ტყვე მონებით თუ სხვა სახის ხარკის აღება და ქრისტიანების დევნა აეკრძალა[2]. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს თავის ხელდებულ ქვეყნად თვლიდა. მართალია, აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა უჭირდა, მაგრამ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რუსეთ-ირანის ურთიერთობებს და ამიერკავკასიაში რუსეთის ქმედებებს დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს. ამის დასტურია ჩვენს ხელთ არსებული თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ორი დოკუმენტის — №820 და №324 D-ს ქსეროასლი. ეს უკანასკნელი გახლავთ ჩილდირის ვალის სულეიმან ფაშასგან დიდვეზირისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1197 წ. რებიულახირის 27/1782 წ. 3 აპრილით. დოკუმენტს ბოლოში უზის ოვალური, ჩანს, შემურული ბეჭედი წარწერით: „მრწმენელ სულეიმანის ბეჭედი". რაც შეეხება №820 დოკუმენტს, ისიც შედგენილია 1197/1782 წელს და არზრუმის ვალის, ღვთის მონა თიმურ ფაშასგან მოსული კორესპონდენციის რეზიუმეა (როგორც ჩანს, რეზიუმე რამდენიმე მოხსენებითი ბარათის საფუძველზე კეთდებოდა. №820 დოკუმენტში ნათქვამია: „რამდენიმე მოხსენებითი ბარათი მოვიდა და რეზიუმე გაკეთდა"). სავარაუდოა, რომ რეზიუმე შედგენილია დიდვეზირის კანცელარიის ერთ-ერთი მოხელის მიერ.

ამ ორი დოკუმენტიდან №324 D უწინ უნდა იყოს შედგენილი. №820-ში ნათქვამია, რომ ამ დოკუმენტის შედგენის დროს „ჩილდირის ვალის, სულეიმან ფაშასგან, რამდენიმე მოხსენებითი ბარათი" უკვე მოსული ყოფილა.

№820 დოკუმენტში ფაქტობრივად მოტანილია ის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოთვლილი იყო ჩილდირისა და არზრუმის ვალიებისადმი (მათ სულთნის კარისთვის ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ ცნობების მიწოდება ევალებოდათ) გაგზავნილ ხატი-ჰუმაიუნებში. ეს მოთხოვნები ასე გამოიყურება: ვალიებს იმ არემარეში (ამიერკავკასიაში — მ. ი.) მოსკოველების (რუსების — მ.ი.) ქმედებების და სხვა ამბების უტყუარობა უნდა შეემოწმებინათ. გარდა ამისა, თიმურ ფაშას ერეკლე ხანის ერთგულებაც უნდა გადაემოწმებინა. როგორც ცნობილია, 1776 წელს ერეკლესა და ოსმალეთს შორის დაიდო

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 663.

[2] იქვე.

ხელშეკრულება, რომელმაც ოფიციალური ხასიათი 1778 წელს მიიღო[3]. ამ ხელშეკრულების მეოხებით ერეკლე მეფე ოსმალეთის ხელშეწყობით გათამამებული დაღესტნელების შემოსევების აღაგმვას ვარაუდობდა.

იმ პერიოდში ერეკლეს ქცევას სულთნის კარი „ერთგულებისათვის შეუსაბამო ყიორმას" (№820) უწოდებდა. იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ მისი „მორჩილებისა და მოქმედების მანერა შემოწმებას არ ექვემდებარებოდა", თუმცა კი, როგორც ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ, სულეიმან ყაშა ერეკლეს გულწრფელობასა და ოსმალებისადმი ერთგულებას იტყობინებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, სულთნის კარი ჩილდირის ვალის ამ შეტყობინებას მთლად არ იზიარებდა, რადგანაც აცნობებდა-ერეკლესათვის მოეთხოვა, რომ „დიდებული სასულთნოსადმი მორჩილება განემტკიცებინა". სულთნის კარს ეჭვი ჰქონდა, რომ ერეკლე ოსმალებთან ურთიერთობაში გულწრფელი არ იყო. ჩილდირის ვალის სთხოვდნენ, გამოეკვლია, „თუ გულის მოგების მანერიდან ხომ არ განთავისუფლდა და ხსენებულის არსებაში რაიმე ხრიკი ხომ არ იმალებოდა".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1778 წელს ერეკლესა და ოსმალეთს შორის ხელშეკრულება დაიდო. მაგრამ ამის მიუხედავად, სულთნის კარი ქართველ მეფეს არ ენდობოდა. არ ავიწყდებოდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომში ერეკლე რუსების მხარეზე გამოდიოდა და იმასაც ხედებოდა, რომ „80-იანი წლების დასაწყისში ... იგი კვლავაც რუსეთისაკენ იხრებოდა"[4]. ამიტომაც სთხოვდნენ ჩილდირის ვალის, სულეიმან ყაშას, რომ ცნობები მიეწოდებინა „იმის თაობაზეც, თუ მოსკოველების ქმედებებისადმი მისი დამოკიდებულება როგორი იყო". აქვე ნახსენებია ანიკაშის მელიქი სოლომონიც, „რა მდგომარეობაში იმყოფება-ო?" ეკითხებოდნენ.

რაც შეეხება ჩილდირის ვალის, სულეიმან ყაშას, მოხსენებით ბარათს (№324 D), აქ შედარებით უფრო კონკრეტულ საკითხებზე, კერძოდ, რუსეთ - ირანის ურთიერთობებზეა საუბარი. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სულთნის ყირმანის მიხედვით სულეიმან ყაშას უნდა გადაემოწმებინა, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა, რომ რუსეთსა და ირანს შორის ვაჭრობისა და თანხმობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ირანში ქერიმ-ხან ზენდის მმართველობის პერიოდია. იგი ცდილობდა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას[5]. სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ინგლისთან, რომელსაც მთელი რიგი შეღავათები მისცა, კერძოდ, შალის ნაწარმის შემოტანის უფლება, გაათავისუფლა საბაჟო გადასახადებისაგან და ნება დართო დაეარსებინა სავაჭრო ფაქტორიები ბუშირში[6].

ასევითვე გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ქერიმ-ხან ზენდის რუსეთთანაც. რუსეთს ირანში შეჰქონდა მაუდი, ხავერდი, რკინაკაჟეული, შაქარი, პურის ფქვილი, ირანიდან კი გაჰქონდა აბრეშუმის ქსოვილები, ბამბა, ბრინჯი, ღვინო და სხვა საქონელი[7]. XVIII საუკუნეში ვაჭრობა ჩრდილოეთ ირანში კასპიის ზღვის მეშვეობით ხელთ ეპყრა რუსეთს, ხოლო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში სპარსეთის ყურით – ინგლისს[8].

სავაჭრო ურთიერთობების გარდა, ირანს რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობებიც ჰქონდა. 1778 წელს თურქეთის წინააღმდეგ პოლიტიკური და სამხედრო კავშირის დასამყარებლად ირანში რუსული მისია ნავიდა. ქერიმ-ხანი ამ წინადადებას დაეთანხმა, მაგრამ გეგმის განხორციელებას 1779 წელს მისმა სიკვდილმა შეუშალა ხელი[9]. როგორც ჩანს, სულთნის ყირმანი, რომელიც №324 D დოკუმენტის შედგენის მიზეზი გახდა, 1779 წლამდე გამოიცა, რადგანაც ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტში ქერიმ-ხან ზენდის სიკვდილის შესახებ არაფერია ნათქვამი. საინტერესოა, რომ თავად დოკუმენტში რუსეთ-ირანის ხელშეკრულების თაობაზე დასმულ შეკითხვებზე პასუხებს ვერ ვპოულობთ. სულეიმან ყაშა ატყობინებს, რომ ამბის გამოსაკითხად და გასარკვევად „ირანსა და

---

[3] იქვე, გვ. 681.
[4] იქვე, გვ. 685.
[5] История Ирана. Э.А. Грантовский, М.А. Дандамаев, Г.А. Кошеленко, И.П. Петрушевский, М., 1977. ст. 211.
[6] История Ирана с древнейших времён до конца 18 века, Н.В. Пигулевская. А.Ю. Якубовский. И.П. Петрушевский. Л.В. Строева. А.М. Беленицкий, Ленинград, 1958, ст. 327.
[7] История Ирана. М.. 1977, ст. 214.
[8] ზ. შარაშენიძე, XVIII საუკუნის დასასრულის ინგლის-ირანის ურთიერთობის საკითხისათვის, ასპირანტ-მაძიებლური კრებული, თბ., 1983, გვ. 188.
[9] История Ирана. М., 1977, ст. 214.

გურჯისტანში და სხვა საჭირო ადგილებში მსტოვრები გაიგზავნენ“ (№324 D). შემდეგ აზერბაიჯანთან დაკავშირებულ ამბებს აცნობებს, მაგრამ არაფერს ამბობს ზემონახსენები რუსეთ-ირანის ხელშეკრულების შესახებ.

ოსმალეთი რუსეთს მის წინააღმდეგ ირანის წაქეზებაში სდებდა ბრალს. „თითქოს რუსეთის ქალმა იმპერატორმა ირანში შაჰობის პრეტენზიის მქონე პიროვნებას დამტკიცებაში მხარი დაუჭირა და დაეხმარა, რის გამოც ოსმალეთის იმპერიისა და რუსების ომში ირანის შაჰის მოქმედებებიც გარდაუვალი გახდაო“ – ვკითხულობთ დოკუმენტში (№324 D). ეს ცნობა შესაძლოა, გამოძახილი იყოს XVIII საუკუნის 60-იან წლებში თეიმურაზ II-ის ნანაფიქრისა, „რომ რუსეთისაგან ჯარს ან მის დასაქირავებლად სესხს მიიღებდნენ, ილაშქრებდნენ ირანში და იქ რუსეთისათვის სასურველ შაჰს აირჩევდნენ“[10].

დოკუმენტის ამ ნაწილში ნახსენები არიან „გურჯისტანის მმართველებიც, რომლებიც ამ ხელშეკრულებაში ადრევე ყოფილან ჩართულნი“. ჩანს, ქართველი მეფეები ხელშეკრულების დადებაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ. რუსეთ-ირანის დაახლოება ოსმალეთის კიდევ უფრო დასუსტებას გამოიწვევდა, ეს კი ხელს აძლევდა როგორც ერეკლეს, ისე სოლომონ I-ს. ქართლ-კახეთის მეფე ხომ დიდი ხანია, ოცნებობდა ოსმალების ხელში მყოფი სამხრეთ საქართველოს შემოერთებას, სოლომონი კი ოსმალებისაგან თავის დახსნას ცდილობდა.

ზემოხსენებული ომის მსვლელობისას თურქეთმა აზერბაიჯანსა და კავკასიის სხვა ქვეყნებში სპეციალური აგენტები გაგზავნა, რომლებიც აქ თურქეთის სასარგებლოდ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. თურქეთის სულთანი აზერბაიჯანელ ხანებს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმისკენ მოუწოდებდა[11]. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა №324 D დოკუმენტში. მასში ნათქვამია: „ირანში, გურჯისტანსა და სხვა საჭირო ადგილებში მსტოვრები გაიგზავნენ“. აქვე სულეიმან ფაშა აცნობებს, რომ ამ საქმეში „დაუდევრობა არ გამოიჩინეს, ძილს თავი ანებეს და მშვიდად დაიწყეს ცნობების მოპოვება“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების გასამყარებლად მრავალმა რუსმა მაღალჩინოსანმა, დიპლომატმა, მეცნიერმა და მოგზაურმა მოინახულა აზერბაიჯანი[12]. ამაზე საუბრობს სულეიმან ფაშაც, როცა წერს: „აზერბაიჯანიდან მოსული ჩვენი ჯაშუშები გვამცნობენ, რომ რუსეთიდან აზერბაიჯანის ხანებთან საჩუქრებითურთ ელჩები მისულან“ (№324 D). როგორც ცნობილია, სახანოებად (კუბის, თალიშის, ყარაბაღის, შაქის, შირვანის, განჯის, ბაქოს, ნახიჩევანის, დერბენდის, თავრიზის, ურმიის, არდებილის, მაქუს, მარაღის, ხოის და ყარადაღის) დაყოფილი აზერბაიჯანელი ხანების უმრავლესობას რუსეთისკენ ეჭირა თვალი და მისი შემწეობით ცდილობდა, თავიდან აეცილებინა თურქი და ირანელი დამპყრობლების თავდასხმები. №324 D დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ისინი რუსეთს „მეფის ნაცვალის“ დანიშვნას სთხოვდნენ, ამ თანამდებობას კი იმ დროისათვის შირაზში მყოფ ზენდების დინასტიის წარმომადგენელს, ალი მურად-ხანს (1782-1785), სთავაზობდნენ. მასთან წერილი გაუგზავნიათ და შეუთვლიათ: „ამ საქმეზე თქვენი შეხედულება როგორი იქნება და რას იტყვითო“ (№324 D). ჩანს, თურქები ეჭვობდნენ, რომ ალი მურად-ხანი რუსებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მათთვის ხომ ცნობილი იქნებოდა რომ იგი ყაჯარებთან ბრძოლაში რუსეთის მხარდაჭერის გამოყენებას ცდილობდა, თუმცა, როგორც ჩილდირის ვალი ატყობინებდა, მას არაფერი სმენოდა იმხანად „რუსეთიდან სპეციალურად ალი მურად-ხანთან ელჩის წასვლის შესახებ“ (№324 D).

ასეთია ძირითადად №820 და №324 D დოკუმენტებში დაცული ცნობები XVIII საუკუნის 70-იანი წლების ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ.

მოგვაქვს ორივე დოკუმენტის თარგმანი და თურქული ტექსტი.

---

[10] ვ.მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, II, თბ., 1968, გვ. 91, 92, 105., ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 389, 390.

[11] История Азербайджана. И.А. Гусейнов, З.И. Ибрагимов, А.Н. Гулиев и др. Баку, 1958, т. I, ст. 343.

[12] იქვე, გვ. 345; ზ.შარაშენიძე, ირანი XVIII ს. მეორე ნახევარში, თბ., 1970, გვ. 42; დ.მეგრელაძე, დ.კაციტაძე, XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტი ირან-საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, XI, თბ., 2004, გვ. 533.

# № 324 D

ძლევამოსილო, მოწყალეო, სულგრძელო, მწყალობელო, მიმტევებელო, მფარველო, კეთილისმყოფელო, დიდად გულუხვო ჩემო ბატონო, ჩემო სულთნის უმაღლესობავ!

ამჟამად ჩვენი კარის ქეთხუდას ნიშანი, მონა ღვთისა ბედნიერი ნელები ეფენდის ნუპადარმა [შეგვატყობინა, რომ] ერთ გამოქვეყნებულ მაღალ დოკუმენტში, რომელსაც კეთხუდა აქვს მომატებული, [ნათქვამია]: თითქოს რუსეთის ქალმა იმპერატორმა ირანში შაჰობის პრეტენზიის მქონე პიროვნების დამტკიცებაში მხარი დაუჭირა და დაეხმარა, რის გამოც ოსმალეთის იმპერიისა და რუსების ომში ირანის შაჰის მოქმედებებიც გარდაუვალი გახდა. მათ შორის ხელშეკრულების მომზადება დასრულდა და ამ ხელშეკრულებაში რომ გურჯისტანის ხანებიც იყვნენ ჩართულნი, ამის შესახებ მაცნეებმა ამაზე უწინ შეიტყვეს. ხსენებული ცნობების შეჯერების საკითხი და ამ დროს რუსების სპარსეთის მხარესთან ეჭვრობისა და თანხმობის შესახებ ხელშეკრულების დადებისა და გაერთიანების ამბავიც გაგონილ იქნა და ჭეშმარიტების გარკვევისა და შეჯერების და ფეხთა მტვრის შინაარსის თაობაზე არზისა და ბრძანების წარდგენის შესახებ ბრძანება და ფირმანი გამოიცა. ამ ადრინდელმა ღვთის მონებმა ირანსა და გურჯისტანში და სხვა საჭირო ადგილებში სხვადასხვა სანდო მსტოვრები სათითაოდ დაგზავნეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თვალშისაცემი დაუდევრობა არ გამოიჩინეს, დღეღამ ძილს თავი აწებეს და ყოველ მხარეს მშვიდად ზვერავდნენ, გამჭრიახობით ცნობებს აგროვებდნენ და ჭეშმარიტ მდგომარეობას [არკვევდნენ]. ღმერთმა უწყის, რომ უმოქმედოდ არავინ იყო. აზერბაიჯანიდან მოსული ჩვენი მსტოვრების პატაკები [გვამცნობენ, რომ] რუსების მხრიდან აზერბაიჯანის ხანებთან საჩუქრებითურთ ელჩები მისულან. აზერბაიჯანის ხანებმა მეფისნაცვლის მოთხოვნით შირაზში მცხოვრებ ალიმურადხანს თავისი კაცების [ხელით] მისწერეს და აცნობეს იმ ელჩებისა და ოფიციალური ქაღალდების შესახებ, რომლებიც რუსეთიდან მიიღეს. თქვენ მეფის წარმომადგენლის რანგში ჯანიშინი იქნებით. ამ საქმეზე თქვენი შეხედულება როგორი იქნება და რას იტყვითო? – მოახსენეს, ოღონდ რუსეთიდან სპეციალურად ალიმურადხანთან ელჩის წასვლის შესახებ იმ არემარეში არაფერი სმენიათ, მხოლოდ აზერბაიჯანის ხანებთან მისული ელჩების მდგომარეობა და ამბავი ხოის (ირანის აზერბაიჯანში მდებარეობს – მ.ი.) ხანის აჰმედ-ხანის მიერ [მისადმი] მორჩილი მხარისადმი სპარსულ ენაზე მიწერილი წერილიდან და სხვა ჩვენი უმდაბლესი დოკუმენტიდანაა [ცნობილი]. ბრძანება და ფირმანი, რომელიც მსოფლიოს ცოდნითაა გარშემორტყმული, ძლევამოსილი, მოწყალე, სულგრძელი, კეთილისმყოფელი. გულუხვი ჩემი ბატონის, სულთნის უდიდებულესობისაა.

1197 წელი, რებიულახერის 27.

# №820

მოწყალეო, სულგრძელო, დიდებულო, ძლიერო, კეთილისმყოფელო ჩემო ბატონო!

ამჟამინდელი არზრუმის ვალის, ღვთის მონა თიმურ ფაშასგან მოსული კორესპონდენციის რეზიუმე, რომელიც მოცემულია წარმოდგენილ ჩემს უმორჩილეს პატაკში. დიდებული სულთნის კარის მიერ გამოცემულ დიდებულ ხატი-ჰუმაიუნში, რომელსაც დიდება თან სდევს, ნაბრძანებია, რომ იმ არემარეში მოსკოველების ქმედებებისა და სხვა ამბების უტყუარობის დადგენა აუცილებელი გახდა. [საჭირო იყო ასევე] თბილისის ხანის, ერეკლე ხანის მდგომარეობა გამოეკითხათ და უნდა ეზრუნათ, რომ დიდებული ქვეყნისათვის ეცნობებინათ. ახლა ჩილდირის ვალის, მონა ღვთისა სულეიმან ფაშასაგან, ამ მომენტში, რამდენიმე მოხსენებითი ბარათი მოვიდა და რეზიუმე გაკეთდა. რეკომენდაცია გაეწია ასევე, რომ საჭიროებისდამიხედვით ყიზილბაშებისთვის ნიშანი მიეცა და სიმშვიდე განემტკიცებინა. ამ მომენტამდე ერეკლე ხანის შეუსაბამო ფორმა ერთგულებისა და მორჩილებისა და მოქმედების მანერა შემოწმებას არ ექვემდებარება. სულეიმან ფაშას ამ პატაკშიც ხსენებულის გულწრფელობის გაგრძელება და სიმტკიცე იყო შეტყობინებული და ამის შესახებ ცნობა ზემოხსენებულს მიეწერება და დიდებული სასულთნოსადმი ხსენებული ხანის მორჩილების განმტკიცება იქნა მოთხოვნილი. მიეწერა ასევე, რომ წინდახედულად ისიც გამოიკითხოს, თუ გულის მოგების მანერიდან ხომ არ განთავისუფლდა და ხსენებულის არსებაში რაიმე ხრიკი ხომ არ იმალება. ცნობის მიწოდება ეთხოვა იმის თაობაზეც, თუ მოსკოველების ხრიკების მიმართ მისი დამოკიდებულება [როგორი იყო] და უნდა გაეგო,

ასიკბაშის მელიქი სოლომონიც რა მდგომარეობაში იმყოფებოდა. სხვა მდგომარეობაზე მეტად დადგენილი წესების დასაცავად მისი მცდელობა განმტკიცდება და ირანთან დაკავშირებული ცნობების მოსაძიებლად არზრუმის ვალის, მონა ღვთისა თიმურ ფაშასა და ღვთის მონა ყარსის მცველსაც სპეციალურად ყურადღების მიქცევა დაევალა. ბრძანება და ფირმანი მოწყალე, სულგრძელი, დიდებული, ძლიერი, კეთილისმყოფელი ბატონის, ჩემი ფადიშაჰის უდიდებულესობისაა.

## № 324 D

(۱) دولتلو عنایتلو مروتلو عطوفتلو مرحمتلو ولی النعم كثیر الكرم افندم سلطانم حضرتلری

(۲) بو دفعه قپو كتخدامز توقیعی سعادتلو چلبی افندی بنده لرنیك چوقدارلری قوللریله

(۳) شرف افزای صدور اولان بر قطعه قایمة علیه لرنده روسیه ایمپراطوریجه سی

(۴) كانه ایرانده شاهلق ادعاسنده اولان شخصك استقرارینه اعانت

(۵) و مظاهرت ایتمكله دولت علیه ایله روسیه لونك سفری وقوعنده

(۶) ایران شاهنك دخی حركتی موجب اولور بینلرنده شروط ترتیب اواخرلغی

(۷) و بو شروطده كورجستان حاكملری دخی داخل اولاقلری بوندن اقدمجه

(۸) استماع اولندیغنه نباء حوادث مذكوره نك تصحیحی خصوصی و بو اثناده

(۹) روسیه لو عجم طرفیله تجارته و اتفاقه دایر مصالحه عقد ایتكلری حوادثی

(۱۰) دخی مسموع علیه لری اولمغله تصحیح و تحقیقی و خاكپای مكارم احتوالرینه

(۱۱) عرض و تقدیمی امر و فرمان بیورلمشیدی بو عبد قدیملری ایران و كورجستان

(۱۲) و سایر اقتضا ایدن محللره بشقه بشقه معتمد جاسوسلر بیرر یجا ارسالندان

(۱۳) بران تغافل و تسامح اولنمیوب روز و شب ترك خواب و راحت برله هر طرفه

(۱٤) اطارة ؟ حمامة تجسس و بصیرت ایله استجلاب حوادث و اخبار و تحقیق كیفیت

(۱۵) و اثاردن خالی اولمد یغمز خدایه ظاهردر آزربایجان حوالیسندن كلان

(۱٦) جاسوسلرمزك تقریرلری روسیه لو طرفندن آزربایجان خانلرینه هدیه ایله

(۱۷) ورود ایدن ایلچیلرك حوادثی آزربایجان خانلری وكالت شاهی ادعاسیله

(۱۸) شیرازده اقامت اوزره اولان علیمراد خانه ادمارلیه تحریر و روسیه لو طرفندن

(۱۹) بو كونه ایلچیلر و تحریرات ظهور ایتدی سز مقام وكالت شاهیده جانشین سز

(۲۰) بو خصوصه سزك رای و امركز نه وجهله اولور دیو عرض ایتمشلر لكن روسیه لو

(۲۱) طرفندن مخصوص علیمراد خانه ایلچی کتدیکی بو حوالیده مسموع دکلدر انجق

(۲۲) ازربایجان خانلرینه ورود ایدن ایلچیلرك کیفیت و حوادثی خوی خانی

(۲۳) احمد خانك طرف بندکیه تحریر ایلدیکی فارسی مکتوبندن و دیکر قایمهٔ

(۲٤) چاکرانه مزدن محاط علم عالمشمولکری بیورلدقده . . . امرو فرمان

(۲۵) دولتلو عنایتلو مروتلو عطوفتلو مرحمتلو ولی النعم کثیر الکرم افندم سلطانم حضرتلرینکدر

سنه ۱۱۹۷

فی ۲۷ ر

№820

(۱) شوکتلو کرامتلو مهابتلو قدرتلو ولی نعمتم افندم

(۲) حالا ارضروم والیسی تیمور پاشا قوللرینك ورود ایدن تحریراتی خلاصه سی معروض عتبه علیه لری قلند یغنی حاوی عرض اولنان

(۳) تقریر چاکرانه م بالاسنه کرامت ریز صدور اولان حط همایون شوکتمقرونلرنده مسقولونك اولحوالیلره کذاری خبرینك انتشاری

(٤) واقع و غیر واقع تحقیق اولنمق واجب ایدوکی و تفلیس خانی ارکلی خانك کیفیتی استخبار و طرف دولت علیه یه جلبنه

(۵) اهتمام اولنمسی امر بیورلمش حالا چلدر والیسی سلیمان پاشا قوللرندن بو اثناده برطاقم تحریرات وارد اولمغله خلاصه ایتدیریلوب

(٦) مقتضالری اوزرینه سرخ ایله اشارت و حضور داورانه لرینه تقدیم اولنمشدر ارکلی خانك بو انه دك منافی طور صداقت

(۷) و عبودیت بر وضعی معاینه اولنمیوب سلیمان پاشانك اشبو معروضاتنده دخی مرسومك مقام استقامتده دوام و استمراری

(۸) محرّر اولدیغنه نباء مشار الیهه یازیله جق قائمه بندکیده خان مرسومك جانب سلطنت سنیه یه استحکام رابطه عبودیتنی

(۹) مستلزم اولور مکاتباب و اطوار دلنوازانه دن خالی اولمامسی و مسفورك باطنده بر فسادی وار میدر انی دخی

(۱۰) حکیمانه استخبار و مسقولونك فساده دائر رفتارلرینی و اوچق باش ملکی سلومانك دخی نه حالده اولدیغنی استعلام

(۱۱) و اوقات سائره دن زیاده رسوم تیقظ و بصیرته مراعاته اقدام ایلممسی تاکید قلنه جغی و ایرانه متعلق حوادثك استجلابنه

(۱۲) دقت خصوصلری ارضروم والیسی تیمور پاشا و قارص محافظی قوللرینه دخی قوائم مخصوصه ایله تنبیه اولنه جغی

(۱۳) معلوم عالیلری بیورلدقده امر و فرمان شوکتلو کرامتلو مهابتلو قدرتلو ولی نعمتم افندم پادشاهم خضرتلرینکدر

М.А. ИЛУРИДЗЕ

# ДВА ОСМАНСКИХ ДОКУМЕНТА О ЗАКАВКАЗЬЕ 70-ЫХ ГОДОВ 18-ГО ВЕКА

## РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены два османских документа из архива Премьер – министра Турецкой Республики. В них даны сведения о политической ситуации, сложившейся в Закавказье в 70-ых годах 18-го века.

К статье прилагается текст и перевод обеих документов.